გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ
განმარტებითი ბარათი

გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების მოცულობა შეადგენს - 41 900,0 ათ. ლარს, მათ შორის: გადასახადები განისაზღვრა - 37 018,8 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც თავის მხრივ შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის - 32 418,8 ათ. ლარისა და ქონების გადასახადის - 4 600,0 ათ. ლარისგან. გრანტები - მიზნობრივი ტრანსფერი - 300,0 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები - 4081,2 ათ. ლარის ოდენობით და არაფინანსური აქტივების კლება - 500,0 ათ. ლარის ოდენობით.

გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა - 42 900,0 ათ. ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით გათვალისწინებული იქნა საზოგადოებრივი ინტერესები და გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში თავად შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრიორიტეტული პროექტები რომელთა სავარაუდო მოცულობა 2020 წლის ბიუჯეტში - 2 800,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

ბიუჯეტის გადასახდელები წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების გარდა მიმართულია ბიუჯეტის 5 ძირითადი პრიორიტეტის დაფინანსებაზე, კერძოდ:

1. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე** მიმართულია - 15 776,0 ათ. ლარი, მათ შორის:
   - **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვაზე მიმართული** - 4 010,0 ათ ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვას – 300,0 ათ. ლარის ოდენობით, გზების მშენებლობა და რეაბილიტაციას - 3310,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს: გორში სტალინის გამზირისა და ჭავჭავაძის ქუჩის საფეხმავლო სივრცეების რეაბილიტაციას, სოფელ შინდისში, ე.წ. „ნახალოვკის უბნის“ გზის რეაბილიტაციას, სოფელ ძევერაში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის, სოფელ ქერეში შიდა გზების რეაბილიტაციას და ქ. გორში ბარნოვის ქუჩის მიმდებარედ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების დახაზვას, საგზაო ნიშნების, სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების და საგზაო მონიშვნების სამუშაოებს - 400,0 ათ. ლარი ოდენობით და სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში გზების რეაბილიტაცია - 150,0 ათ. ლარის ოდენობით.

     ასევე გათვალისწინებულია რეგიონალური პროექტების თანადაფინანსება - 408,7 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს: გორში, ბარნოვის ქუჩის (გურამიშვილის ქუჩიდან რომელაშვილების ქუჩამდე) რებილიტაციას, სოფელ

ნაწრეტში მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, სოფელ ხიდისთავში ე.წ. „ჩინეთის უბანში“ სასაფლაოს და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციას, გორში, თამარ მეფის ქუჩის (სტალინის გამზირიდან რაზმაძის ქუჩის კვეთამდე) რეაბილიტაციას, გორში, გვერდწითელის ქუჩის რეაბილიტაცია (ცხინვალის გზატკეცილიდან ყიფიანის ქუჩამდე, გორში, შარტავას ქუჩის რეაბილიტაცია სანიაღვრე არხებით, კირბალი-ბერშუეთის გზის რეაბილიტაციას, ფლავი-ფლავისმანი-ქვეშის გზის რეაბილიტაციას, გორში, ამილახვრის ქუჩის რეაბილიტაციას, სოფელ ნადარბაზევში მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, სოფელ ქვახვრელში გზის რეაბილიტაციას, ცხინვალის გზ-ის ცენტრალური გზიდან შსს განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველოს შენობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას და სოფელ კირბალში,შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციას სანიაღვრე არხების მოწყობით.

- **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე მიმართული** - 1 903,7 ათ. ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯს – 900,0 ათ. ლარის ოდენობით; სამოქალაქო ბიუჯეტით ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობას - 700,0 ათ. ლარის ოდენობით, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვას - 303,7 ათ. ლარის ოდენობით.
- **საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაციაზე მიმართული** - 229,8 ათ. ლარი ითვალისწინებს რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებას - 40,0 ათ. ლარის ოდენობით, კარალეთის დევნილთა დასახლებაში მიმდინარე საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობას, ელექტროფიკაციის დასახლებაში საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის თანადაფინანსებას, ქ. გორში, წმ. წყლის დასახლებში გაუქმებული №2 სათავის გრუნტის წყლების მოსაცილებლად სადრენაჟე სისტემის მოწყობას.
- **წყლის სისტემის განვითარებაზე მიმართული** - 2 354,5 ათ. ლარი ითვალისწინებს სოფელ ტინისხიდის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას, სოფელ ზერტის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას, სოფ. წედისი-ბნავისი-ოლოზი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, სოფ. ხიდისთავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, სოფ. ძევერის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, სოფ. ბობნევის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას(მთის ფონდი) – 1 447,5 ათ. ლარის ოდენობით, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში სოფელ საყავრის სასმელი წყლის ბუნებრივი სათავე ნაგებობის მოწყობას - 50,0 ათ. ლარის ოდენობით, შადრევნების მიერ მოხმარებული წყლის ღირებულებას - 220,0 ათ. ლარის ოდენობით და წყლის სისტემის მოვლა-პატრონობას - 637,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებზე მიმართულია** - 1 350,0 ათ. ლარის ოდენობით.

- **ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართულია** – 65,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსებაზე მიმართულია** – 300,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაციაზე მიმართულია** - 650,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს ქ. გორში არსებული ქუჩების მწვანე ზოლების, პარკების და წყლის შადრევნების ტექნიკური წყლით მომარაგების სისტემის მოწყობას - 550,0 ათ. ლარის ოდენობით და სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში სოფელ ქვახვრელში არსებული შიდა სარწყავი არხის რეაბილიტაციას - 100,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებებზე მიმართულია** – 100,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **სკვერების და გაზონების რეაბილიტაციაზე მიმართულია** - 1 105,0 ათ. ლარი, მათ შორის სამოქალაქო ბიუჯეტით განსაზღვრულია - 550,0 ათ. ლარი.
- **მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციაზე მიმართულია** - 925,0 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს: გორში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაციას, კომბინატის დასახლებაში არსებული კულტურის სახლის რებილიტაციის თანადაფინანსებას, ავტობუსების სადგომისა და დამხმარე ნაგებობების მოწყობის თანადაფინანსებას და სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია სოფელ მერეთში და სოფ. შავშვებში.
- **სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაციაზე მიმართულია** - 900,0 ათ. ლარი სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში.
- **დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსებაზე მიმართულია** – 500,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **აბრებისა და მემორიალების მოწყობა-რეაბილიტაციაზე მიმართულია** - 100,0 ათ. ლარი სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში.
- **მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე მიმართულია** - 277,0 ათ. ლარი.
- **კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე მიმართულია** - 156,0 ათ. ლარი.
- **სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე მიმართულია** - 800,0 ათ. ლარი კულტურისა და დასვენების პარკისათვის ატრაქციონების შესაძენად.
- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციის თანადაფინანსებაზე (რეგ.ფონდი) მიმართულია** - 50,0 ათ. ლარი.

2. **დასუფთავება და გარემოს დაცვაზე მიმართულია** - 2 850,3 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს:

- **დასუფთავება და ნარჩენების გატანას** - 2 275,2 ათ. ლარის ოდენობით.

- **პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვას** - 575,1 ათ. ლარის ოდენობით.

3. **განათლების ხელშეწყობაზე მიმართული** - 9 191,7 ათ. ლარი ითვალისწინებს:
   - **სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციას** - 1 541,7 ათ. ლარის ოდენობით (მათ შორის: გორის №5, 6, 16, სოფელ შინდისის, შერთულის და ტყვიავის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - 801,4 ათ. ლარი; გორის №9, 14, სოფელ კარალეთის №1 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და საქაშეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა რეგ. ფონდის თანადაფინანსებით - 520,0 ათ. ლარი; სოფელ კარალეთის №2 და პატარა გარეჯვრის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში - 100,0 ათ. ლარი).
   - **განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება** - 50,0 ათ. ლარის ოდენობით;
   - **სკოლამდელი განათლების დაფინანსებას** – 7 600,0 ათ. ლარის ოდენობით.

4. **კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის ხელშეწყობის განვითარებაზე მიმართულია** - 6 098,1 ათ. ლარი, აქედან:
   - **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** – 3 186,3 ათ. ლარის ოდენობით.
   - **კულტურის სფეროს განვითარება** – 2 691,8 ათ. ლარის ოდენობით.
   - **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა** - 20,0 ათ. ლარის ოდენობით.
   - **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** - 200,0 ათ. ლარის ოდენობით გულისხმობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას.

5. **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმართული** - 2 265,8 ათ. ლარი გულისხმობს:
   - **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას** - 215,0 ათ. ლარის ოდენობით (აქედან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში – 135,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსებას - 80,0 ათ. ლარის ოდენობით).
   - **მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის სერვისების მიწოდების ხელშეწყობას** – 182,0 ათ. ლარის ოდენობით.
   - **მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას** – 1 868,8,0 ლარის ოდენობით.

6. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე** მიმართული - 6718,1 ათ. ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერიის და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობას, ასევე სარეზერვო ფონდის, კადრების მომზადების და წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვას.